საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერჯევი

მერჯევი, სოფელი იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ჭიათურის პლატოზე, მდ. ლაშურის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 550 *მ*. საჩხერიდან 8 *კმ*. ადმ. ერთეულის ცენტრი (სოფლები: მ., ივანწმინდა). 1449 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. ერთ საბუთში. 1737 შედგენილ დას. საქართვ. რუკაზე დატანილია მერჯევის ციხე. დღეისათვის მ-ში შემორჩენილია ერთი შუა ფეოდალური ხანის „ანგაროული“ ეკლესია ორსტრიქონიანი ლაპიდარული წარწერით და მეორე – XX ს. დასაწყისში აგებული.